საქართველოს მოსახლეობის განწყობების/აღქმების/ ხედვების კვლევა უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების შესახებ

2023

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა მოსახლეობის მასობრივი გამოკითხვა, **პირისპირ ინტერვიუს** გზით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 11-ვე რეგიონის სრულწლოვანმა (18 წლის და მეტი) მოსახლეობამ.

შერჩევით ერთობლიობის მოცულობას შეადგენდა 3 434 რესპონდენტი.

გამოყენებულ იქნა შემთხვევითი, კერძოდ, სტრატიფიკაციულ-კლასტერული შერჩევა.

კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია შემდეგი ჭრილების დონეზე:

პირადი უსაფრთხოება

საშუალოდ ყოველი მეორე გამოკითხული უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტს (ფიზიკური, ეკონომიკური/სოციალური, პირადი სივრცის, ეკოლოგიური, ჯანმრთელობის დაცვა) დაცულად მიიჩნევს.

პირადი უსაფრთხოება

რესპონდენტთა პირად უსაფრთხოებაზე შემდეგმა ფაქტორებმა იქონია გამორჩეულად ნეგატიური გავლენა:

ფასების ზრდის მაღალმა დონემ (85%)

რუსეთ-უკრაინის ომმა (65%).

პირადი უსაფრთხოება

რეგრესიული ანალიზის მიხედვით, პირად უსაფრთხოებას დაცულად ის რესპონდენტები უფრო მიიჩნევენ, რომლებიც:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა (სუს-ის) და საქართველოს პარლამენტის საქმიანობას უფრო დადებითად აფასებს
- უფრო იზიარებენ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახურები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რომ გამოავლინონ უცხო ქვეყნის ჯაშუშები
- უფრო ეთანხმებიან შეხედულებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახურები უმკლავდებიან საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფების (ისლამური სახელმწიფო, ალქაიდა და სხვ.) გავრცელების საფრთხეს საქართველოში
- საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიად „ქართულ ოცნებას“ განიხილავენ

პირადი უსაფრთხოების გაუმჯობესების შესაძლებლობებან დაკავშირებით სამი ფაქტორი გამოიყო:

ეროვნული საფრთხეები

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს სტაბილური განვითარებისათვის შემდეგი **გარე საფრთხეები** არსებობს



ეროვნული საფრთხეები

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს და რუსეთიდან მომდინარე ანტიდასავლურ პროპაგანდას გარე ეროვნულ საფრთხეებად, სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მწვავედ აფასებენ იძულებით გადაადგილებული პირები.

ასევე, იძულებით გადაადგილებული პირები, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე უსაფრთხოდ მიიჩნევენ ევროკავშირის და აშშს ინტერესებს საქართველოში და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესს.

საქართველოს სტაბილური განვითარებისათვის უსაფრთხოდ მიიჩნევს:



ეროვნული საფრთხეები





რუსული ჰიბრიდული ომი

რესპონდენტთა **მხოლოდ 7%-ია ისეთი,** ვინც უარყოფს, რომ რუსეთი საქართველოსთან ჰიბრიდული ომის ხერხებს იყენებს.

რესპონდენტთა მოსაზრებით, რუსეთი საქართველოსთან მიმართებით იყენებს ჰიბრიდული ომის შემდეგ მიდგომებს:

იმ რესპონდენტთა შორის, ვინც რუსულ ჰიბრიდულ ომს რეალობად მიიჩნევს, მხოლოდ 5% ფიქრობს, რომ ასეთი მიდგომების გამოყენებას რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია..

შედეგები, რომლებიც დასახელებულ მიდგომებს მოჰყვება:



საქართველოს მეგობარი ქვეყნები/ორგანიზაციები

გამოკითხულთა მეხუთედს (20%) მიაჩნია, რომ საქართველოს არ ჰყავს მეგობარი ქვეყანა ან ორგანიზაცია. ამავე დროს 17%-ს გაუჭირდა საქართელოს მეგობარი ქვეყნის/ორგანიზაციის დასახელება.

რესპონდენტთა 60%-მა დაასახელა საქართველოს მეგობარი ქვეყანა/ორგანიზაცია.

მეგობარ ქვეყნებად/ორგანიზაციენად რესპონდენტები მოიაზრებენ:

ევროპის ქვეყნებს (13%)	ევროკავშირს (12%)	ამერიკას (10%)	უკრაინას (7%)	თურქეთი (4%)

საქართველოს მეგობრად რუსეთი დაასახელა რესპონდენტთა 3%-მა.

საქართველოს მტერი ქვეყნები/ორგანიზაციები







ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა

ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა

ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციის დადებითი შედეგები



ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციის უარყოფითი შედეგები



სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების საქმიანობის შეფასება

რესპონდენტთა საშუალოდ 42% დადებითად აფასებს სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი შემდეგი სტრუქტურების საქმიანობას:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- თავდაცვის სამინისტრო
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭო
- საქართველოს პარლამენტი

თუმცა, პარლამენტი იმითაც გამოირჩევა, რომ მას რესპონდენტთა 27% უარყოფითი შეფასების ველში განიხილავს.

უსაფრთხოების სტრუქტურების მიმართ დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად:

სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების საქმიანობის შეფასება

თბილისში, სხვა ქალაქებსა და სასოფლო ტიპის დასახლებებთან შედარებით, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების მიმართ უფრო ნეგატიური დამოკიდებულება ვლინდება.

ასეთი სტრუქტურების მიმართ, სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა (საშუალოდ 44%) და საოკუპაციო საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებს (საშუალოდ 57%), ხოლო უფრო ნეგატიური (პარლამენტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიმართ) - იძულებით გადაადგილებულ პირებს.

გამოიკვეთა, რომ ის პირები, რომლებიც საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ან რომელიმე სხვა ოპოზიციურ პარტიას განიხილავენ, ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების საქმიანობას უფრო უარყოფითად აფასებენ.

სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების საქმიანობის შეფასება

რესპონდენტთა პოზიციები გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, ხდება თუ არა უსაფრთხოების სტრუქტურების მიერ ძალაუფლების გადამეტება. საშუალოდ 30% თვლის, რომ ეს სტრუქტურები ძალაუფლებას არაადეკვატურად იყენებენ. კერძოდ:



ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევას, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი **სისტემურ დარღვევად** აფასებს და არა - ერთეულ შემთხვევად.

ეროვნული უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების საჭიროება

რესპონდენტთა 73%-ის აზრით, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება საჭიროა. მათ შორის, რესპონდენტები სუს-ის რეფორმირების საჭიროებაზეც მიუთითებენ.

რეფორმა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:

მედია წყაროები და საინფორმაციო ნაკადები

როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო **საქართველოს სატელევიზიო არხებია** (ყოველი მეორე რესპონდენტი). წამყვან პოზიციებს *იმედი, მთავარი არხი* და *რუსთავი 2* იკავებს.

მნიშვნელოვანია ინფორმაციის **სოციალური მედიით** მოძიების გამოცდილებაც (დაახლოებით 30%).

თუკი ახალგაზრდა თაობა ინფორმაციას, ძირითადად, სოციალური მედიიდან იღებს, ზედა ასაკობრივ ჯგუფებში წამყვან პოზიციას საქართველოს სატელევიზიო არხები იკავებს.

რესპონდენტთა საშუალოდ 90% ინფორმაციას ქართულ ენაზე ეცნობა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საშუალოდ მესამედი ინფორმაციას მათსავე ენებზე, სომხურად ან აზერბაიჯანულად, იღებს.

მედია წყაროები და საინფორმაციო ნაკადები

რესპონდენტები ინფორმაციას თითქმის **ყოველდღიურად** ყველაზე მეტად იღებენ საქართველოსა (63%) და უკრაინაში (43%) მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

მნიშვნელოვანია ყოველდღიურ რეჟიმში რუსეთისა (26%) და აშშ-ს (19%) შესახებ ინფორმაციის მიმღებთა წილიც.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საშუალოდ მესამედი თითქმის ყოველდღე იღებს აზერბაიჯანისა (35%) და სომხეთის (30%) შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა მედია საშუალებით.

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის ყოველი მეხუთე წევრი აშშ-ის (20%), ევროპის ქვეყნების (20%), ევროკავშირისა (20%) და ნატოს (21%) შესახებ საერთოდ არ ეცნობა ინფორმაციას.

გმადლობთ ყურადღებისთვის!